



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4134
07/08/2018

4134-09-2-201808071411



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად და გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ასევე უნდა განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1 აგვისტოს განკარგულებით უკვე დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

გთხოვთ საკითხი დაამატოთ ჩვენს მიერ მოთხოვნილ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგს.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. გამოიყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 3. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბაგა-ბაღების შენობა-ნაგებობებზე, საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, **პოლიციის, სასამართლოს,** სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, ა(ა)იპ-ების შენობა-ნაგებობებზე, საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 4.

1. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

2. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

3. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე-არა უმეტეს 60სმ. სიგანე-არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით:

ა) სკვერში არსებულ მწვანე ნარგავებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე;

ბ) გარე განათების ბოძზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი;

გ) მოსაცდელეზზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს ორი ცალი პლაკატი.

მუხლი 5. დაევალოს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 7. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისია

№ 28

„06“ 08 2018 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,


გიგზავნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის N 01-02/1088 02/08/2018 წერილს.

დანართი: სამ ფურცლად

პატივისცემით

თამარ ბისიეშვილი

კომისიის თავმჯდომარე





საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

1088-01-02-2-201808021444



N 01-02/1088

02/08/2018

ქალაქ თბილისის მერს

თვითმმართველი ქალაქების და თვითმმართველი თემების მერებს

მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეებს

გაცნობებთ, რომ დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. შესაბამისად, გიგზავნით არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოცემულ სამართლებრივ აქტს, რომლის თანახმადაც, 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.

აღნიშნული არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი საქმიანობები:

- განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად (გამოყოფილი სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი);
- არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე;
- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, ასევე უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება;
- წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიებს;

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 0131, თბილისი, საქართველო

www.cesko.ge correspondence@cec.gov.ge

☎ (995 32) 2 510051

• მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად, მათ გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაუთმონ საარჩევნო კომისიებს. საოლქო საარჩევნო კომისიები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე უზრუნველყოფენ ამ შენობა-ნაგებობების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის და მათთან შეთანხმებით ადგენენ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის განრიგს. საჯაროობისათვის ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე.

ასევე გაცნობებთ, რომ პლაკატების უკანონო ჩამოხვევის, ჩამოხსნის, დაფარვის ან დაზიანების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადასცემენ. ასევე, ეს ორგანოები ვალდებული არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაითვალისწინოთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნები და მათ შესასრულებლად ჩაატაროთ შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ცესკო გამოხატავს მზადყოფნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით ითანამშრომლოს თქვენთან ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კითხვების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას შემდეგ ნომერზე: 251-00-51 (223).

დანართი: ერთ ფურცლად.

პატივისცემით,

თამარ ჟვანია

კომისიის თავმჯდომარე





საქართველოს პრეზიდენტის
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N01/08/02 2018 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების
თარიღის დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 95-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2018 წლის 28 ოქტომბერს.

გიორგი მარგველაშვილი



პრემიერ-მინისტრი

მამუკა ზახტაძე

მცხეთა საქართველოს საარჩევნო აპარატის/საქვე სარეგისტრაციო და საინფორმაციო დეპარტამენტი	№ 1756	1 მ
	01.08	2018 წ

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო
მასალების განთავსების ადგილები

N	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (თეატრიდან,კაფე "თავადურამდე")	სკვერი	27.06.56.014	
2	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ჟორდანიას და კვირკველიას ქ. კვეთა)	სკვერი	27.06.51.029	
3	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (სუპერმარკეტების "ნიკასა" და "მარგის"წინ)	სკვერი	27.06.51.010	
4	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (გამგეობის წინ მდებარე სკვერი)	სკვერი	27.06.52.008	
5	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ცენტრალური სკვერი)	სკვერი	27.06.52.009	
6	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ჟორდანიასა და კვირკველიას ქ. კვეთა)	სკვერი	27.06.52.028	
7	ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ყოფილი "უნივერმალის" მიმდებარედ)	სკვერი	27.06.51.006	
8	გვიმბალაური (ბენზინგასამართ სადგურ "სოკარის" მიმდებარედ)	სკვერი	27.08.47.006	
9	შუხუთი (ყოფილი კულტურის სახლის მიმდებარედ)	სკვერი	27.05.46.023	
10	აცანა (საჯარო სკოლის მიმდებარედ)	სკვერი	27.02.44.003	
11	ჩიბათი (საჯარო სკოლის პირდაპირ)	სკვერი	27.09.50.011	
12	მამათი, კონჭკათი	მოსაცდელი		
13	მამათი, კონჭკათი	მოსაცდელი		

14	მამათი, შათირი	მოსაცდელი		
15	აკეთი, ზემო აკეთი	მოსაცდელი		
16	აკეთი, გაგური	მოსაცდელი		
17	აცანა, ტელმანი	მოსაცდელი		
18	აცანა	მოსაცდელი		
19	ლესა	მოსაცდელი		
20	ლესა, ჭინათის უბანი	მოსაცდელი		
21	ჯურუყვეთი, ბაღლეფი	მოსაცდელი		
22	ჯურუყვეთი	მოსაცდელი		
23	ნიგვზიანი	მოსაცდელი		
24	ჩოჩხათი, შრომისუბანი	მოსაცდელი		
25	ჩოჩხათი, ხორეთი	მოსაცდელი		
26	ჩოჩხათი, ოდილაური	მოსაცდელი		
27	ნინოშვილი	მოსაცდელი		
28	ნინოშვილი	მოსაცდელი		
29	ნინოშვილი	მოსაცდელი		
30	აკეთი, გაგური	მოსაცდელი		
31	აკეთი, ზემო აკეთი	მოსაცდელი		
32	ნიგოთი	მოსაცდელი		
33	ნიგოთი, ჭყონაგორა (ჯიხეთის მონასტრის გადასახვევთან)	მოსაცდელი		
34	ნიგოთი, ქვიანი	მოსაცდელი		
35	ჯურუყვეთი, ეწერი	მოსაცდელი		
36	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები		